„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი ● №1-15 (9509) ● 1-15 აგვისტო ● ფასი 50 თეთრი

2021 წლის 2 ოქტომბერს გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ამრჩევი / დამნიშნავი
1	ცოტნე შუშანია	კომისიის თავმჯდომარე	ცესკო
2	ვახტანგი ჯალაღონია	კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ცესკო
3	ვენერა პირტახია	კომისიის მდივანი	ცესკო
4	ალექსანდრე ქაჩიბაია	კომისიის წევრი	ცესკო
5	თამარ ჭანტურია	კომისიის წევრი	ცესკო
6	გიორგი გვასალია	კომისიის წევრი	ცესკო(დროებითი)
7	თამარი კვარაცხელია	კომისიის წევრი	ცესკო(დროებითი)
8	ირაკლი გუგუშვილი	კომისიის წევრი	ცესკო(დროებითი)
9	ნარგიზა გარუჩავა	კომისიის წევრი	პ / გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
10	იამზე გოგინავა	კომისიის წევრი	პ / გ „ევროპული საქართველო”
11	თამარი სამხარაძე	კომისიის წევრი	პ / გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”
12	გელა თოფურია	კომისიის წევრი	პ / გ „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“
13	ბელა ქამადაძე	კომისიის წევრი	პ / გ „ევროპელი სოციალისტები”
14	ბექა ჯოჯუა	კომისიის წევრი	პ / გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები”
15	ეკატერინე აბშილავა	კომისიის წევრი	პ / გ „ლელო საქართველოსთვის“
16	ანა კვირკველია	კომისიის წევრი	პ / გ „გირჩი-მეტი თავისუფლება“
17	ლევანი ცომაია	კომისიის წევრი	პ / გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“

მუნიციპალიტეტის მერიაში

13 წელი - აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებიდან

სენაკში, პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრებისა და რუსეთის აგრესიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების ხსოვნას.

ხსოვნის მემორიალი გვირგვინებით შეამკეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი კალანდარიშვილმა, აგვისტოს ომში დაღუპული სენაკელების ოჯახის წევრებმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ხსოვნის მემორიალის შემკობის შემდეგ, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, აგვისტოს ომის მსხვერპლთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა.

13 წელი გავიდა აგვისტოს ტრაგიკული მოვლენებიდან. რუსეთის აგრესია, დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, ყველაზე მძიმედ სწორედ სენაკმა იწვნია.

ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალები: თემურ ბოკუჩავა და ლევან თეფანია, ქალაქის დაბომბვის შედეგად დაიღუპა სამი მოქალაქე: მეირა ინჯგია, ჯონი და როლანდ ქარდავები. იყო მსხვერპლი სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზის დაბომბვისას.

„მინდა განსაკუთრებული მოწიწება გამოვხატო ჩვენი დროის გმირი ჯარისკაცებისა და რუსეთის აგრესიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ. ქედს ვიხრი მათი და, განსაკუთრებით, ამ უმძიმეს დღეებში დაღუპული ჩვენი თანამოქალაქეების ხსოვნის წინაშე. მათი სახელები არასოდეს მიეცემა დავიწყებას” - აღნიშნა ლევან კუპრეიშვილმა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2008 წლის აგვისტოს ომში და ავღანეთში, ISAF-ის მისიაში, დაღუპულთა ოჯახებს 500-500 ლარი გადასცა.

შეხვედრა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებსა და კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტებს „მუნიციპალიტეტის მიერ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე ცნობის გაცემის შესახებ” იუსტიციის მინისტრის სარეკომენდაციო ინსტრუქცია გააცნეს.

სამუშაო შეხვედრას, რომელსაც მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნანა ზარანდია, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებისა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მენეჯერები: დავით ახალბედაშვილი, ნაირა სარდლიშვილი და გეოსაინფორმაციო სისტემების ოპერატორი ნატო მერმანიშვილი უძღვებოდნენ.

შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, წარმოდგენილ იქნა პრეზენტაციები სარეკომენდაციო ინსტრუქციის შესახებ, იმსჯელეს მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და ცნობის გაცემის პროცედურებზე.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

განცხადება

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის (თემის) მერის 2021 წლის არჩევნების 2 ოქტომბერში დანიშვნასთან დაკავშირებით „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი რეგულაციების” შესაბამისად მედიისათვის განსაზღვრული ვალდებულებით, რაც საზოგადოების არჩევნების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას და არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და მერობის კანდიდატთა თანაბარი პირობების შექმნას უკავშირდება, გაზეთ „კოლხეთში” წინა საარჩევნო აგიტაციისა და რეკლამებისთვის გამოიყო მიმდინარე წლის აგვისტოს და სექტემბრის თვის ნომრებში (პერიოდულობა 1-15 აგვისტო, 16-31 აგვისტო, 1-15 სექტემბერი,16-30 სექტემბერი;) ორი-ორი გვერდი, დაწესდა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარი ფასიანი (1 სამაკეტო უჯრა) და უფასო ფართი. მოცულობა -გამოყოფილი 1 ერთი გვერდის მესამედი თითოეული მერობის კანდიდატისა და პარტიებისთვის.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის ქ.№103, ტელეფონი: 0413 276 150.

გაზეთი „კოლხეთი"

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)</u>

სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები - „Agile Spirit 2021"

„Agile Spirit 2021-ის" ფარგლებში, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების განმტკიცებისა და მრავალეროვნული სწავლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, „Agile Spirit 2021-ის" ქართველმა და ამერიკელმა ხელმძღვანელებმა, ბრიგადის გენერალმა კობა გრიგოლიამ და პოლკოვნიკმა კრის მარშალმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან ლევან კუპრეიშვილთან, პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სენაკელი ახალგაზრდებისთვის, მრავალეროვნული წვრთნების, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე პირიტ პიკერი და წვრთნებში მონაწილე ქვეყნების თავდაცვის ატაშეები იმყოფებოდნენ.

დეტალური ინფორმაციის გაზიარების შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, ბოლოს კი, მოწვეულ სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

„Agile Spirit 2021" საქართველოში, სწავლება 5 ლოკაციაზეა გაშლილი, სადაც სხვადასხვა აქტივობა ერთმანეთის პარალელურად - სენაკში, მე-2 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე, სორტა / ეკის საწვრთნელ ბანაკში, ორფოლოს პოლიგონზე, ვაზიანის პოლიგონსა და ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე მიმდინარეობს. მასში ნატოსა და პარტნიორი 15 ქვეყნის 2500-ზე მეტი სამხედროა ჩართული. წვრთნები როგორც საველე, ასევე სამეთაურო-საშტაბო კომპონენტებს მოიცავს.

„Agile Spirit 2021" საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობისა და ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის არმიის სარდლობის ორგანიზებით იმართება და მას დასავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი კობა გრიგოლია ხელმძღვანელობს.

შეხვედრის დასასრულს, სტუმრებმა განახლებული თეატრი და ის ლოკაცია დაათვალიერეს, სადაც პირველი ავტომობილის ინსტალაციაა მოწყობილი.

შეხვედრა სენაკის „ეტალონ მოსწავლესთან"

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის მეათე კლასის წარმატებულ მოსწავლეს, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის" გამარჯვებულს, „სენაკის ეტალონი მოსწავლის ტიტულის მფლობელს, ზურაბ წირქვაძეს შეხვდა.

მიმდინარე წლის 28 ივლისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, LIVE რეჟიმში, დისტანციური ფორმატით, საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი 2021" ჩატარდა.

წლების შემდეგ, სენაკის სინამდვილეში პირველად, „ეტალონის" 2021 წლის პირველი პერიოდის კონკურსის პირველი ადგილის მფლობელი ჟიული შარტავას სახელობის სენაკის N2 საჯარო სკოლის მოსწავლე ზურაბ წირქვაძე გახდა. მან, 6 წუთსა და 35 წამში, 61 ქულა მოიპოვა.

ზურა მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით გამოირჩევა. ის სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის გიტარისტთა განყოფილების წარჩინებული მოსწავლეა. მიმდინარე წელს მას სენაკის მეშვიდე მუსიკალური ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა „სენაკის ეტალონ მოსწავლეს" მოპოვებული გამარჯვება მიულოცა, ერთჯერადი ფულადი ჯილდო -1000 ლარი გადასცა და წარმატებები უსურვა.

ზურაბ წირქვაძეს ასევე გადაეცა დიპლომი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 1000 ლარიანი ვაუჩერი და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის, ალექსანდრე თევზაძის გადაწყვეტილებით, 500 ლარიანი ჯილდო.

ფოლკლორის ფესტივალი

ნოქალაქევის ისტორიულ ციხე-ქალაქში, სენაკისა და ჩოხატაურის ვაჟთა ანსამბლების - „მუსიკელის" და „ამაღლების" მონაწილეობით, ფოლკლორის ფესტივალი „ხალხური საღამოები" გაიმართა.

ფესტივალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ფესტივალი ფოლკლორის ცენტრის ინიციატივით და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სხვადასხვა სოფელსა თუ ქალაქში იმართება.

მასში მონაწილეობას 18 ფოლკლორული, 16 საოჯახო ანსამბლი და 3 ინდივიდუალური შემსრულებელი ღებულობს.

საზაფხულო კონცერტები აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება.

კონცერტი ცნობილი ქართველი შემსრულებლების მონაწილეობით

ქალაქის ამფითეატრში, ცნობილი ქართველი შემსრულებლების — თემურ ცაგურიას, ზურა მანაგაძის, ნუგზარ ერგემლიძის, მაკა ქაჯაიას და კაკო ვაშალომიძის მონაწილეობით, შოუ კონცერტი გაიმართა.

საღამოს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. სცენაზე მონატრებული ქართული სიმღერები აჟღერდა. საღამოს მაკა ქაჯაია უძღვებოდა.

პროექტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

მარათონი მრავალეროვნული სწავლების ფარგლებში

„მტკიცე სული 2021"-ის ფარგლებში, სწავლებაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებმა მარათონი გამართეს.

მარათონის მსვლელობაში, „Agile Spirit 2021-ის" ქართველ და ამერიკელ ხელმძღვანელებთან და სამხედრო პირებთან ერთად, მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ ბაღათურიამ მიიღო.

სპორტული აქტივობა მეგობრობის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

მარათონის დასრულების შემდეგ, „Agile Spirit 2021-ის" ქართველმა და ამერიკელმა ხელმძღვანელებმა, ბრიგადის გენერალმა კობა გრიგოლიამ და პოლკოვნიკმა კრის მარშალმა, სამხედრო პირებთან ერთად, საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ბიუსტი ყვავილებით შეამკეს და აფხაზეთისა და აგვისტოს ომებში დაღუპული ქართველი მებრძოლების ხსოვნას პატივი მიაგეს.

ფოტოგამოფენა აგვისტოს ომს მიეძღვნა

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომი იყო ოკუპანტი ქვეყნის მორიგი აგრესია საქართველოსადმი. უშეღავათო და უთანასწორო ომში კიდევ ერთხელ გამოჩნდა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანების სიმამაცე და თავდადება. თუ რა შეუძლია გმირ წინაპართა მაგალითზე აღზრდილ ხალხს.

ქართულმა ჯარმა და მასთან ერთად მოსახლეობამ აჩვენა შეუდარებელი სიმამაცე და შეუდრეკელობა. შინდისის ბრძოლა გახლავთ თვალნათელი მაგალითი გმირობისა. ბრძოლებს შეეწირა 17 სამხედრო მოსამსახურე: ალექსანდრე ონიანი, ემზარ წილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, თეიმურაზ ბერიძე და სხვები.

-ომის დროს დაიბომბა სოფლები, დაინგრა საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობები, სკოლები და ბაღები. გაიძარცვა სამხედრო ბაზები. (გორში, სენაკში. ფოთში) მტერმა გამოავლინა ვერაგული სისასტიკე და დაუნდობლობა. ომს შეეწირა არა ერთი სენაკელი ვაჟკაცი. მათ შორის: ლ. თეფანია, თ. ბოკუჩავა. ჯ. ქარდავა. გ. ინჯგია, რ. ქარდავა და სხვები.

ჟიული შარტავასა და მისისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო ფოტო გამოფენა, მიძღვნილი 2008 წლის აგვისტოს ომისადმი. წარმოდგენილი იქნა როგორი სასტიკი და საშინელი იყო თანამედროვე ტექნიკით შეარაღებული მტრის ძალადობა.

ბ. დავითაია

სადეზინფექციო სამუშაოები

სამხედრო დასახლებაში, მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა" და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ტრანსმისიური დაავადებების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, ანტიმალარიული სამუშაოები ჩატარდა. სადეზინფექციო სამუშაოები დევნილთა დასახლებას სრულად მოიცავს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

ვულოცავთ!

ყოველი ახლადშექმნილი ქართული ოჯახი ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედია.

ბატონ ტარიელ ერაგიას და ქალბატონ იმა შარტავას უდიდესი სიხარული მოუტანა ვაჟის ცოტნეს ქორწინებამ.

ახალგაზრდა წყვილს ნინო ნოზაძეს და ცოტნე ერაგიას ვულოცავთ ოჯახის შექმნას. გვჯერა, კეთილგონიერი, განსწავლული ახალგაზრდები მტკიცე ბალავარს შექმნიან ქართული ტრადიციული ოჯახის ასაშენებლად.

ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, სიხარულს, სიყვარულს, თანამონაწილეობას ერთმანეთის ჭირსა და ლხინში.

უფლის წყალობა არ მოკლებოდეს ერაგიების ფუძეს.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია

,,ათას ასახელეს საქართველო

proactivgroupGeorgia-ს ორგანიზებით, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის (დირექტორი ნინი ჯანჯღავა)სამი მოსწავლე: ანა შამათავა, ლუკა ნაკაშია და ნინო ძიგუა, ასევე, თბილისის 107 საჯარო სკოლის მოსწავლე არჩილ მაისურაძე, ხელმძღვანელთან, ინგლისური ენის პედაგოგ თამარ ყალიჩავასთან ერთად, გაემგზავრნენ ესტონეთში, ქალაქ ტალინში erasmus+ ის საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამით ,,What's next?", რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდები 6 ქვეყნიდან: საქართველო, ჩეხეთი, მოლდოვა, იტალია, ესტონეთი, უკრაინა.

ისინი დღეს ჩვენი სტუმრები არიან და მოგვიყვებიან თავიანთი ვიზიტებისა და შთაბეჭდილებების შესახებ.

ნინო მრავალმხრივ ნიჭიერი და წარმატებული გოგონაა, მისი სურვილია გამოვიდეს კარგი ექიმი და ამიტომ უპირატესობას ისეთ საგნებს ანიჭებს, როგორიცაა ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა. გარდა იმისა რომ კარგად სწავლობს, კარგად მღერის და ცეკვავს. უკრავს გიტარაზე, პიანინოზე ფანდურზე, მონაწილეობდა სენაკის მუსიკალურ ფესტივალში. იყო ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,მეგაში", რომელთან ერთად მოიარა მრავალი ქვეყანა (თურქეთი, ჩეხეთი, იტალია, აზერბაიჯანი, ბულგარეთი...).

ჩვენი ვიზიტი ესტონეთში ჩემი აზრით იყო ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი. პირველ რიგში შევიძინეთ უამრავი მეგობარი. პროექტი რომელიც შექმნა ერასმუსის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ემსახურება ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, არაფორმალური განათლება უზრუნველყოფს ახალგაზრდების ცხოვრების სწორი მიმართულებით წაყვანას და მათი კარიერული თუ პირადი ცხოვრების პრობლემების გადაჭრას, ასევე მეტი თავდაჯერებულობის და დამოუკიდებლობის მოპოვებას მომავალი ცხოვრების გზაზე. პროექტის ფარგლებში გვიტარდებოდა საგანმანათლებლო სახის სესიები, რომელშიც აქტიურად ვიყავით ჩართულები, ჩვენით განვახორციელეთ სხვადასხვა აქტივობები, ჩავატარეთ ინტერკულტურული საღამო, სადაც ვისაუბრეთ საქართველოს ტრადიციებზე, ღირსშესანიშნაობებზე და ქართულ იდენტობაზე, შევასრულეთ ქართული სიმღერები. მგონია, რომ დადებითად დავამახსოვრეთ თავი უცხოელ თანატოლებს, რომელთაც ჩვენთან ურთიერთობის შემდეგ გაუჩნდათ საქართველოში ჩამოსვლის და ჩვენი ქვეყნის უკეთ გაცნობის სურვილი. სექტემბერში ველოდებით სტუმრებს.

ანა შამათავა XI კლასელია, გონიერი და ჭკვიანი, უყვარს ისტორია, ინგლისური, მათემატიკა. ანა ფიქრობს, რომ ფორმალურ განათლებასთან ერთად საჭირო განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არაფორმალურ განათლებას, რადგან თვლის, რომ უკანასკნელი ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას(კრიტიკული აზროვნების, ჯგუფური მუშაობის, ლიდერული უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის, პრობლემების გადაჭრის, ექსტრემალურ სიტუაციაში გადაწყვეტილებების მიღების უნარები და ა.შ.), რომელთა აღმოჩენა სტანდარტულ საგანმანათლებლო სისტემაში შეუძლებელია. მოსწონს ისეთ პროექტებში მონაწილეობა, რომლებიც წარმოადგენენ არაფორმალური განათლების წყაროებს, გაძლევენ დიდ გამოცდილებას

და საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალებას.

საქართველოში Proactive group Georgia -ს ორგანიზებით Erasmus+ -ის გაცვლითი პროგრამა ,,what's next" არის არაფორმალური განათლების ერთ ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ეძღვნება სწორი კარიერული გადაწყვეტილებების მიღებას. პროექტის შესახებ შევიტყვეთ სკოლაში. სადაც გამოცხადდა კონკურსი(სამოტივაციო წერილების დაწერა), გამარჯვებული 3 მოსწავლე გაემგზავრებოდა ესტონეთში 10 დღით ჩვენ ლიდერ სკოლა-გიმნაზიის ინგლისურის მასწავლებელ თამუნა ყალიჩავასთან ერთად. ერთ კვირაში გამოვლინდა სამი გამარჯვებული. უბედნიერესი ვიყავი, პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს ჩემი პირველი და წარმატებული მცდელობა იყო საზღვარგარეთ წასვლისა იმ პროექტის ფარგლებში, რომლისგანაც დიდი მოლოდინები გვქონდა. ჩვენი ვიზიტი ესტონეთის ქალაქ შუგავერეში იყო, საიდანაც უშუალოდ დაიწყო პროექტის წარმართვა. ამ 10 დღის განმავლობაში ყოველ დღე ტარდებოდა საგანმანათლებლო სესიები, რომელიც ძირითადად ეხებოდა კარიერის არჩევას,პიროვნული დაბრკოლებების გადალახვას და ა.შ. სესიებს ატარებდნენ როგორც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლები, ასევე სტუმრები, მათ შორის ჩვენ. სესიები დაახლოებით 6 საათამდე გრძელდებოდა და შემდეგ იყო ნახევარსაათიანი შეჯამება,სადაც ლიდერები იკრიბებოდნენ და არჩევდნენ ამ დღის დადებით და უარყოფით მხარეებს. 7 საათის შემდეგე იწყებოდა თავისუფალი დრო, დღე-გამოშვებით ინტერკულტურული საღამოები. ორჯერ გვქონდა ექსკურსია, ერთხელ საუნივერსიტეტო ქალაქ ტარტუში და მეორეჯერ დედაქალაქ ტალინში, სადაც ვნახეთ ოლდ თაუნი. ყველა ქვეყნის წარმომადგენელს მარტივად დავუმეგობრდით და ისეთი რაღაცები მოვუყევით საქართველოზე მის მრავალფეროვან ისტორიასა და კულტურაზე,რომ ძალიან ბევრი მათგანი გეგმავს შემოდგომაზე ჩვენთან სტუმრობას. საბოლოო ჯამში ეს პროექტი იყო ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი, ვინაიდან დაგვეხმარა ძალიან ბევრი უნარის განვითარებაში ასევე განვივითარეთ ინგლისური ენა(-ვინაიდან სესიები და უცხო ხალხთან კომუნიკაციაც მიმდინარეობდა ამ ენაზე) შევიძინეთ ძალიან ბევრი მეგობარი და გრძელვადიან პერსპექტივაში რამდენიმე ქვეყანასთან ერთად დავგეგმეთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები. ასევე რამდენიმე დღის წინ მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი შემოთავაზება,საქართველოს მიერ ჩატარებულმა სესიებმა და ჩვენმა კომუნიკაბელურობამ დიდი მოწონება და ყურადღება დაიმსახურა და ერასმუს +-მა მიგვიწვია სექტემბრის თვეში ხორვატიაში 10 დღით ბავშვთა ჯგუფი, ლიდერ თამარ ყალიჩავასთან ერთად. ამ პროექტზე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ და დარწმუნებულები ვართ რომ ჩვენი სტუმრობა ხორვატიაში იქნება ისეთივე კარგი და ნაყოფიერი, როგორიც ესტონეთში.

ლუკა ნაკაშია მეთორმეტეკლასელია - უყვარს უცხო ენები, ტექნიკური საგნები ფიზიკა, მათემატიკა, გარდა იმისა, რომ კარგად სწავლობს, აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობს ღონისძიებებში, სპეკტაკლებში. არის ანსამბლ ,,მეგას" წევრი. ქუთაისის უნუვერსიტეტმა კი ლუკას, როგორც ,,ათასწლეულის ფონდის გამოწვევის" ფინალისტს, სრულად დაუფინანსა სწავლა-განათლება.



ჩვენ, მე, ანა შამათავა, ნინო ძიგუა, თბილისის 107 საჯარო სკოლის მოსწავლე არჩილ მაისურაძე და ჯგუფის ხელმძღვანელი, ინგლისური ენის პედაგოგი თამარ ყალიჩავა საერთაშორისო პროგრამა Erასმუს+- ის პროგრამის ფარგლებში, ვიმყოფებოდით ესტონეთში. ჩვენი მოვალეობა იყო წარმოგვედგინა ჩვენი ქვეყანა. პროექტი მთავარი მიზანი იყო მომავალი თაობის ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით განევითარებინათ ახალგაზრდებს თავისი სამომავლო კარიერა. და არამარტო კარიერული რჩევები, ასევე არაფორმალური განათლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მისი გავრცელება სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენს მიერ წარმოდგენილმა პრეზენტაციამ, ინგლისური ენის ცოდნამ დიდი მოწონება დაიმსახურა, რის შედეგად მიგვიწვიეს ხორვატიაში 10 დღით. ჩვენ ყოველნაირად ვეცდებით იქაც კარგად წარმოვადგინოთ ჩვენი ქვეყანა.

ესტონეთში გატარებული ეს 10 დღე იყო განსაკუთრებული, დაუვიწყარი მოვლენა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. ყოველი დღე დატვირთული იყო საინტერესო აქტივობებით, რომელშიც აქტიურად ვიყავით ჩართულები. მთელი რიგი გასართობი პროგრამებით, ექსკურსიებით. წარუშლელი შთაბეჭდილება დამიტოვა საუნივერსიტეტო ქალაქ ტარტუს დათვალიერებამ.

ვფიქრობ, რომ ჩვენმა ნაამბობმა საქართველოზე, მის ისტორიაზე, ტრადიციებზე, ჩვენმა ნამღერმა სულიკომ ბევრს გაუჩინა საქართველოში ჩამოსვლის და მისი უკეთ გაცნობის სურვილი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენი სკოლის დირექციას, პედაგოგებს, ჩვენს გულშემატკივრებს, ProActive Group Georgia-ს ვისი ორგანიზებით, ხელშეწყობითა და დაფინანსებით გავემგზავრეთ ესტონეთში.

ქალბატონი თამარ ყალიჩავა, ინგლისური ენის წამყვანი პედაგოგი, 2017 წლიდან თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „პროაქტივ ჯგუფი ჯორჯია"-სთან (Proactive Group Georgia) , ჩართულია Erasmus ის პროგრამაში, რომელიც არის ევროკავშირის საგრანტო პროგრამა. არის ტრენერ-მასწავლებელი არაფორმალური განათლების კუთხით. აქვს დიდი გამოცდილება საერთაშორისო დონის ტრენინგებში და გაცვლით პროგრამებში. მონაწილეობა აქვს მიღებული 10-ზე მეტ უცხოურ პროექტში.

მოგეხსენებათ 21-ე საუკუნეში თუ როგორი მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება ფორმალურთან ერთად, სადაც ხდება სწავლა კეთებით, გამოცდილებით და ისეთი უარების განვითარება როგორიცაა კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნება, გუნდურობა, შემოქმედებითობა, კომუნიკაციური და პრეზენტატორული უნარების ჩამოყალიბება და ა.შ. სწორედ ამიტომ 2017 წლიდან სენაკის სკოლა გიმნაზიაში ჩამოვაყალიბე "არაფორმალური საგანმანათლებლო კლუბი" (non formal education club), რომლის მთავარი მიზანი იყო მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარება უცხო ენაზე სხვა დანარჩენ უნარებთან ერთად. სწორედ ამ კლუბის წევრები არიან ამავე სკოლის მოსწავლეები ლუკა ნაკაშია, ანი შამათავა და ნინო ძიგუა, რომლებიც კონკურსის შედეგად შევარჩიეთ სრულიად დაფინანსებულ ესტონეთის პროექტისათვის. პროექტში მოხვედრის მთავარი კრიტერიუმი იყო ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა გიმნაზიაში ინგლისური ენა ისწავლება გაძლიერებული სახელმძღვანელოებით და მეთოდებით, გვყავს კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც ასევე ჩართულები არიან საერთაშორისო პროექტებში, ამიტომ ჩვენს მოსწავლეებს არ ქონიათ ენის ბარიერი მიუხედავად იმასა, რომ ასეთ პროექტში პირველად ღებულობდნენ მონაწილეობას. თავად პროექტი ეხებოდა კარიერის არჩევას, თუ როგორ უნდა დაგეგმონ ახალგაზრდებმა თავიანთი მომავალი, აღმოაჩინონ ახალი შეხედულებები და ახალი ინტერესები მათ ცხოვრებაში. ამ პროექტში მონაწილეობით ჩვენმა მოსწავლეებმა მიიღეს უდიდესი გამოცდილება, შეიძინეს უამრავი მეგობარი, გაიუმჯობესეს ინგლისური ენის ცოდნა, გაეცნენ უცხო ქვეყნების კულტურულ თავისებურებებს. ჩვენი მოსწავლეების გამოსვლები იმდენად წარმატებული იყო, რომ სექტემბერში მიგვიწვიეს ხორვატიაში დაგეგმილ პროექტზეც.

რაც შეეხება შერჩეულ მონაწილეებს, მინდა გითხრათ, რომ სამივე სკოლა გიმნაზიის წარმატებული მოსწავლეა, მაგალითად ანა შამათავა აქტიურად არის ჩართული სკოლის კლასგარეშე აქტივობებში და კონკურსებში, ანამ მის გუნდთან ერთად 2019 წელს მონაწილეობა მიიღო „ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიაში" და შედეგად სკოლა გიმნაზია მეორე ადგილის მფლობელი გახდა (მე -2 ადგილი), შემდეგ წელს კი გუნდი 500 სკოლის გუნდს დაუპირისპირდა და ფინალისტი გახდა ("ნიკო კეცხოველის სახელობის სკოლის პრიზი 2020"). 2020 წელს გუნდმა ასევე მოიგო დებატების კლუბის 2020 წლის ვირტუალური ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობდა 20 გუნდი და 60 მომხსენებელი, ხოლო გუნდის საუკეთესო სპიკერად დასახელდა ანა შამათავა. ანა საუკეთესო სპიკერად დაასახელეს ასევე ესტონეთის პროექტში გამართულ სესიებზე.

ნინო ძიგუა ასევე არის ძალიან წარმატებული მოსწავლე. ნინო მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაცია CENN ის დაფინანსებითა და ხელშეწყობით შექმნილი პროექტის ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2019 წლის გამარჯვებული გუნდის წევრია. გარდა ამისა, ნინოს ქორეოგრაფიული კუთხითაც აქვს მიღწევები. ანტალიაში ხელოვნებისა და კულტურის, სიმღერის საერთაშორისო ფესტივალის I ადგილოსანი გუნდის წევრია, ანსამბლი ,,მეგა"-თან ერთად საქართველოს მაშტაბით მეორე ადგილზე გავიდა კონკურსში და მოიგო ჩეხეთის და იტალიის საგზურები.

რაც შეეხება ლუკა ნაკაშიას, ვფიქრობ, რომ მის ასაკში სერიოზულ წარმატებებს მან უკვე მიაღწია. ლუკა არის ,,ათასწლეულის ფონდის გამოწვევის" კონკურსის ფინალისტი, შედეგად კი ქუთაისის უნივერსიტეტმა სრულად დაუფინანსა სწავლა- განათლება. ლუკაც, ისევე როგორც ნინო არის ანსამბლ ,,მეგა"-ს წევრი და არაერთი კონკურსის გამარჯვებული.

ვულოცავთ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებს, პედაგოგს მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობას, მათ ნამდვილად ასახელეს საქართველო ესტონეთში. ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

მაია გერგაია

შედეგით კმაყოფილი ვარ

ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი" მიზნად ისახავს მოსწავლეებში განათლების პოპულარიზაციას, ცოდნის გაღრმავებისა და ინფორმაციის მოძიების ხელშეწყობას, დაინტერესების და მოტივაციის გაზრდას. პედაგოგთა შრომის ხელშეწყობას, დაფასებას, ნიჭიერი და გამორჩეული მოსწავლეების აღმოჩენას, წარმოჩენას და წახალისებას. პროექტი ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა სკოლის უფროსკლასელებისთვის. „ეტალონი" ბავშვებს საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს, პროექტი დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს, მოსწავლეები ერთმანეთს ჯანსაღ მეტოქეობას უწევენ და ღირსეულად იმარჯვებენ.

28 ივლისს, სენაკში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით დისტანციური ფორმატით ჩატარდა ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი" 2021. „ეტალონის" 2021 წლის პირველი პერიოდის კონკურსის პირველი ადგილის მფლობელი ჟიული შარტავას სახელობის სენაკის NII საჯარო სკოლის მოსწავლე ზურაბ წირქვაძე გახდა. მან, 6 წუთსა და 35 წამში, 61 ქულა მოიპოვა.

ზურა მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით გამოირჩევა. ის სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის გიტარისტთა განყოფილების წარჩინებული მოსწავლეა. მიმდინარე წელს მას სენაკის მეშვიდე მუსიკალური ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ზურაბ, გილოცავ „ეტალონი მოსწავლის" ტიტულს, როგორი იყო გზა ფინალამდე?

გმადლობთ მოლოცვისთვის. ფინალამდე იყო შესარჩევი ტური სკოლაში, შემდეგ ჩატარდა შეჯიბრი სკოლებში გამარჯვებულ მოსწავლეებს შორის სენაკის მასშტაბით, სადაც პირველ-მეორე ადგილებზე გავედით მე და ჩემი ძმა. მე, როგორც სენაკის წარმომადგენელმა მოსწავლემ, 28 ივლისს მივიღე მონაწილეობა ფინალურ ტურში, საქართველოს ეტალონი მოსწავლის გამოსავლენად

„ეტალონი" წელს უჩვეულო ფორმატით ჩატარდა, რთული ტესტები იყო?, როგორი იყო კონკურენცია?

კონკურსი საკმაოდ რთული იყო, რადგანაც ტარდებოდა ონლაინ რეჟიმში. ტესტის შესრულება სპეციფიკურ მომზადებას საჭიროებდა. სწორი პასუხების გაცემასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო დროის კოტროლი, ერთ კითხვაზე პასუხის გასაცემად 30 წამი იყო გამოყოფილი. კითხვები იყო ქართული ლიტერატურიდან და გრამატიკიდან, ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, ბიოლოგიიდან, ქიმიიდან, ფიზიკიდან და მათემატიკიდან.

კონკურენცია საკმაოდ მაღალი იყო. რაც შეეხება ფინალს, მონაწილება მივიღეთ 22 მოსწავლემ, რომელთა შერჩევაც მოხდა ქულების მიხედვით. ძალიან მიხარია რომ გავიმარჯვე. ნამდვილად კარგი კონკურსია და დადებითად ვაფასებ. გულწრფელად მივესალმები მსგავსი ტიპის კონკურსებს. ჩვენი სკოლები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში. შედეგით კმაყოფილი ვარ.

წლევანდელი წელი წარმატებული იყო შენთვის, გახდი სენაკის Art ფესტივალის ლაურეატი. რა ადგილი უჭირავს მუსიკას შენს ცხოვრებაში?

მუსიკა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, დავამთავრე მუსიკალური სკოლის ფანდურის, ფორტეპიანოს და გიტარის კლასები. გიტარისტთა კვარტეტი, სადაც ჩემი ძმაც უკრავს, პირველად ლაურეატი სენაკის Art ფესტივალზე გახდა 2019 წელს, წელს კი მეორედ გავხდით ლაურეატები. მუსიკალური სკოლიდან ბევრ კონკურსსა და ფესტივალში მაქვს მონაწილეობა მიღებული.

როგორც ვიცი სპორტის სიყვარულითაც გამოირჩევი და და წარმატებებიც გქონდა.

ვთამაშობდი სენაკის სპორტსკოლის კალათბურთის გუნდში, გვქონდა გარკვეული მიღწევებიც. ვთამაშობ მაგიდის ჩოგბურთს, მიყვარს ცურვა, ფეხბურთი, ჭადრაკი. 2017 წელს გავხდი სენაკის ჩემპიონი ჭადრაკში. ამ პერიოდისათვის აქტიური სპორტით არ ვარ დაკავებული,მხოლოდ ტოკიოს ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენების გულშემატკივრობით შემოვიფარგლები.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი სენაკის მერს ბატონ ლევან კუპრეიშვილს გულთბილი შეხვედრისათვისა და ფულადი საჩუქრისათვის. მადლობას ვუხდი აგრეთვე ქალბატონ ირმა კუპრეიშვილს, რესურსცენტრის უფროსს ქალბატონ დარეჯან ზარანდიას, ჩემს სკოლას მხარდაჭერისათვის.

პროექტის მნიშვნელობაზე გვესაუბრა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა გივი მისაბიშვილი, რომელმაც აღნიშნა:

„ეტალონი" ძალიან კარგი პროექტია, მსგავსი ტიპის კონკურსები ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის, მათი ცნობიერების ამაღლებისთვის, განვითარებისთვის. მიხარია, რომ ამდენი ახალგაზრდაა ჩართული და თავის ცოდნას ავლენენ. მადლობას ვუხდი ბატონ გოჩა ტყეშელაშვილს ასეთი კარგი პროექტისათვის, რომ ბავშვებს ამ შანსს აძლევს.

მუნიციპალიტეტის მერია მსგავსი ტიპის კონკურსებს მუდამ უჭერს მხარს. კონკურსი, წელს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ონლაინ ფორმატში ჩატარდა. მიუხედავად ამისა, ღონისძიებამ ძალიან კარგად, ორგანიზებულად ჩაიარა. ვულოცავ ზურა წირქვაძეს გამარჯვებას და ვუსურვებ წარმატებებს.

კოლხეთის რედაქცია ულოცავს ზურას ეტალონი მოსწავლის საპატიო წოდებას, უსურვებს ეს გამარჯვება ყოფილიყოს არაერთი გამარჯვების საწინდარი.

მ. ჭუბაბრია

ლია სალაყაია



გარდაიცვალა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ღვაწლმოსილი პედაგოგი, საპატრიარქოს რეგენტი, ჩვენი თანაქალაქელი, უაღრესად ნიჭიერი და ერუდირებული პიროვნება ლია სალაყაია. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოანდომა ქართული საგალობლების შესწავლა-პოპულარიზაციას.

ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყველა კუთხე.

ჩვენი რაიონის მკვიდრის, ცნობილი სახალხო მთქმელის ლადი სალაყაიას შთამომავალს ადრეული ასაკიდან ჰქონდა შესისხლხორცებული ქართული ფოლკლორისა და უწმინდესი საგალობლების სიდიადე.

ულმობელმა კორონავირუსმა შეიწირა მისი სიცოცხლე. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ქალბატონ ლია სალაყაიას გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ მის დისშვილებს, ახლობლებს, ნათესავებს.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გელა კინწურაშვილს მამის

იროდი კინწურაშვილის

გარდაცვალების გამო

გაზეთ „კოლხეთის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ღვაწლმოსილ ექიმს, საპატიო სენაკელს თეიმურაზ ხურციძეს ქალიშვილის

თიკო ხურციძის

გარდაცვალების გამო

გაზეთ „კოლხეთის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟულიეტა ჩაჩიაბაიას დის

ლიანა ჩაჩიბაია-ვეკუას

გარდაცვალების გამო

გაზეთ „კოლხეთის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეკა და გოჩა აბუთიძეებს, რომან მამულიას დედის და დის

ლია მამულია-აბუთიძის

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499